კვირა, 5 მარტი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

# ეშმაკის მათრახი

№ 10

1917

**შინაარსი.** 19—26—**ეშმაკი.** ჯორის ქურდი—**ირ. ტოფაძე**; ნიჭი შემოქმედი—**სარასტონი**; გამოცანა—**ვინა ვარ?** დამშვიდდით. დაქვრივებული ბარათი—**ბუტუნა**; მესტვირული—**კ. ნ—ლი**; ახალ სენაკიდან—**მაჩმანჯე**; ღია ბარათი—**ბუტუნა**; ფოსტა.

**კარიკატურები:** მქუხარე სიტყვა. ახლო წარსული. ახლო მომავალი. რისხვა დადიანისა. უკანასკნელი რეზერვი.

## სახელმწიფო დუმა და მინისტრები



თავითაც ვერ გაიტან ასეთ კედელს, არა თუ მქუხარე სიტყვებით!

# 19—26

დასელები სომხებში ჰქადაგებდენ:
„ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებაში
არჩევნებია, თუ ფედერალისტები აი-
რჩიეს დაილუპებით ტფილისიდან აგ-
ყრიანო." ამნაირი ქადაგებით დაში-
ნებული მასსა ეწერებოდა დასელების
ლაშქარში."

„სახალხო ფურცელი" № 806"

**ორშაბათი 20 თებერვალი.** ქალაქის სამმარ-
თველოში გამოცხადდა ვიღაც უცნობი პირი და
ფიცხელი კრება მოახდინა. აი შემოკლებით კრების
ოქმი.

**უცნობი.** ბ-ნებო, საჭიროა ზომების მიღება.
მომავალ კვირას „ერთ-ერთ ქართულ დაწესებულე-
ბაში არჩევნებია. თუ ფედერალისტები გავიდენ სო-
მხების საქმე ცუდათ წავა. აქედან უთუოდ აგ-
ყრიან."

**ალ. ხატისოვი.** მოითმინეთ, ვინ თუ გავიდაო?

**უცნობი.** ფედერალისტები..

**მ. ჯაბარი.** ვინ არიან ეგ ფედერალისტები?
ქართველებია?

**ალ. არღუთინსკი.** ფედერალისტი სადაური
ქართველი იქნება, უცხო სახელია.

**ათაბეგოვი.** ამდენი ხანია ქალაქში ვცხო-
ვრობ და ასეთი ტომის შესახებ არაფერი გამიგო-
ნია.

**გ. ჟურული.** როგორ არა, არიან. ცალკე
ტომი არ არის, ამბობენ პარტია არისო. უმთავრე-
სად ქალები ეწერებიან (განურჩევლად წლოვანებისა
და არა გვარიშვილობისა) ამი[illegible]ომაც პარტია აქ-
ტიურ საქმიანობის უნარს მოკლებულია.

ცნობამ სომხებში აუწერელი შიში და მღელ-
ვარება გამოიწვია. შეძლებული სომხობა იმავ სა-
ღამოთი შეუდგა გახიზვნის თადარიგს. შიშს ქვეშ
დარჩა მხოლოდ შეუძლო კლასები. ავტომობილის
ფასმა ერთი ასად აიწია. გადასწყდა გაიგზავნოს და-
სელები დასახმარებლად 25000 გადმოხვეწილი სო-
მეხი.

**სამშაბათი 21 თებერვალი.** ადგილობრივი
თათრები საგონებელში ჩავარდენ. „აჩიყ-სოზის"
კორესპოდენტს ინტელიგენტთა წრეში განუცხადე-
ბია: „ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებაში არჩევნე-
ბია, თუ ფედერალისტები გავიდენ, ისლამს შავ[illegible]
დღე მოელის"ო. საზარელი ცნობა უკვე გადაეც[illegible]
ბაქოს მუსულმანებს. ბორჩალოში მზადებას შეუ-
დგენ თფილისიდან ხალხის გასახიზნათ. ბაქოს მუ-
სულმანთა საქველმოქმედო საზოგადოება ბარაკებს
ამზადებს გადმოხვეწილთათვის. ექ. სულთანოვის
რჩევით დასელების დასახმარებლათ უნდა გამოიგზა-
ვნოს 18000 ბორჩალოელი ბეგი. მღელვარება მე-
ქისეებშიაც გადავიდა. მწივნობრები იკვლევენ, თუ
რა ხალხია ეს ფედერალისტები. საერთო შიში სუ-
ფევს!

**ოთხშაბათი 22 თებერვალი.** ადგილობრივი
რუსთა კალონია აუწერელ მღელვარებას განიცდის,
მართველ წრეებს ცნობა მისვლიათ:

„ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებაში არჩევნე-
ბია, თუ ფედერალისტები აირჩიეს რუსთა საქმე
ხიფათში ჩავარდებაო".

კითხვის გამოსარკვევათ როძიანკოს დეპეშები
გაეგზავნა. ადგილობრივი ადმინისტრაციაც იკვლევს
აღნიშნული პარტიის არსებობას. წარსულში ის
არავითარ ოქმებში არ არის აღნუსხული. ადგილო-
ბრივმა ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა გადასწყვიტა
ულალატოს ტრადიციას და ზურგი შეაქციოს ბ-ნ
სამსონ დადიანს, რომელისთვისაც საქალაქო არჩე-
ვნებში იმდენი შრომა გასწია. დასელების დასა-
ხმარებლათ მიღებულია ზომები: იგზავნება 60000
წევრი კავშირისა დასელებისათვის კენჭის მისაცე-
მათ და ფედერალისტთა გასვლით მოსალოდნელი
ხიფათის თავიდან ასაცილებლათ.

**ხუთშაბათი 23 თებერვალი.** ჩაგრული ერი
ისრაელისა ბევრი გასაჭირის მნახველია, მაგრამ
ისეთი შიში, როგორიც მან ამ დღეებში გამოსცადა
მის ისტორიის არ ახსოვს! ადგილობრივ სინაგოგა-
ში ვიღაცას ცნობა მიეტანა:

„ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებაში არჩევნე-
ბია, და თუ ფედერალისტები გავიდენ ებრაელთა
ერს დიდი განსაცდელი მოელისო." შეშინებულო
დედებისა და მცირე-წლოვანთა ცრემლი ზღვას ერ-
თოდა. რაბინის თავმჯდომარეობით გადასწყდა გა-
მოიწერონ ებრაელები ცხინვალიდან, სურამიდან,
კულაშიდან და აგრეთვე რუსეთის დასავლეთ გუბე-

რნიებიდან, რიცხვით არა უმცირეს 15000 კაცისა, რათა დაახმარონ დასელებს ფედერალისტების დასამარცხებლათ. დაწესდა ცალკე ლოცვისა და მარხულობის დღეები მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლათ. გამოიწერეს ისტორიის საუკეთესო მცოდნენიც. იმათ ევალებათ გამოკვლევა იმისა, თუ რა ხალხია ეს ფედერალისტები, რომლებმაც ასეთი შიშის ზარი დასცეს კავკასიას.

**პარასკევი 24 თებერვალი.** გერმანელთა კოლონიებში დიდი ხანია ჩუმი ფაცი-ფუცი შეიქნა. ყველას რაღაც საიდუმლო შიშის გამომეტყველება აღბეჭდვია სახეზე. ადგილობრივ ბერძნებთან ჩუმი მოლაპარაკება აქვთ. გუშინ ერთ ფარულ კრებაზე აშკარა შეიქნა შიშისა და მოუსვენრობის მიზეზი:

,,ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებაში მოსალოდნელია არჩევნები, თუ ფედერალისტები აირჩიეს გერმანელთა ტომს (და მათთან ერთად ბერძნებს) შავი დღე მოელით“ო.

უმავთულო ტელეგრაფების (ან იქნებ წყალქვეშა ნავების) საშვალებით შეეკითხენ ჰინდებურგს და იმან ურჩია გაუგზავნონ დასელებს დასახმარებლათ 7,000 კოლონისტი ნემეცი და ამდენივე ბერძნები. ამავე საკითხის შესახებ ბჭობა ჰქონიათ სოფიაში. კრებას დასწრებია ენვერ-ფაშა, მაკენზენი, ფერდინანდი და ბერძენთა ჰენერალი პაპანდოპულიდისი. აღნიშნულ კრებასაც, რასაკვირველია, ისეთივე გადაწყვეტილება მიუღია, როგორიც ჰინდენბურგს.

**შაბათი 25 თებერვალი.** თფილისელმა ფრანგთა კონსულმა დიდის საიდუმლოებით ინახულა ინგლის-იტალიის კონსულები და დახურულ კარებში 3 საათს ესაუბრა მათ. რაიტერისა სააგენტოს ცნობით:

„ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებაში მოსალოდნელია არჩევნები და თუ ფედერალისტები აირჩიეს ინგლის-საფრანგეთ-იტალიის საქმე უკულმა დატრიალდებაო“.

ლოიდ ჯორჯმა ამის შესახებ პალატაში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. აგრეთვე სიტყვას იტყვის პუანკარე პარიზში და ბოზელი რომში. ამბობენ იაპონიის პრემიერ მინისტრი ბარონი ხვიტი შეეკითხა პეკინს, თუ რა გზას დაადგება ჩინეთი თფილისელ ფედერალისტებთან დამოკიდებულების გამწვავების დროს. პასუხს საიდუმლოთ ინახავენ.

ინგლის-საფრანგეთ-იტალიამ დიდი დახმარება აღუთქვა დასელებს ფედერალისტებთან ბრძოლაში.

**კვირა 26 თებერვალი.** საშიშარი დღეც დადგა. შემოხვეწილ ეროვნებათა შიშმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. სახალხო სახლში „ერთ-ერთი ქართული დაწესებულების არჩევნები დაიწყო.“ ბარგი სულყველას შეკრული ჰქონდა. ხალხში ათას გვარ ჭორებს ავრცელებდენ.

— ამბობენ სამსონ დადიანმა მოიხმო ერასტო ტოროტაძე და უთხრა — წადი, წაიყვანე თედორე ღლონტი და სადილობამდე გაანადგურეთ დასელებიო. — ერასტო დაეთანხმა — რაკი უდალატე ბარემ კიდევაც გავანადგურებო. — ამბობდა ერთი უცნობი და თითეულ ასეთ სახელებზე უცხოელებს შიშის ჟრუანტელი უვლიდა.

## მ კ ი თ ხ ა ვ თ ა ნ.



**მკითხავი.** ადექი, შვილო, თქვენი პარტია უთუოდ გაიმარჯვებს. გუშინ ქერის მარცვლები გავშალე...

**თედო.** გმადლობ, გმადლობ, ჩვენო იმედო; სამაგიეროთ ჩვენმა პარტიამ ხუთასი მანეთის საქველმოქმედო ბილეთები იყიდა.

— მე ჩემი თვალით ვნახე წუხელსაღამოს თედო ღლონტი მკითხავ ფეფიკოსთან იყო. მუხლმოდრეკით ევედრებოდა მის მხარეზე გადასვლას. ფეფიკო დაეთანხმა, დღეს არჩევნებზე მოვა და შე-

იძლება კენჭიც მისცესო, ამბობდა მეორე უცნობი და ცეცხლზე ნავთსასხამდა.

ხალხიც მოგროვდა. 25000 გადმოხვეწილი სომეხი ვერის ხიდის გაღმა, ანანოვის სახლის დასწვრივ დაბანაკდა და რიგს ელის. ვერის სასაფლაოს დაბლა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაირაზმა 18000 ცხენოსანი ბეგი ბორჩალოს მაზრიდან. დიდი-მთავრის ქუჩა, სახალხო სახლიდან, ვიდრე ვორონცოვის ძეგლამდე 60000 ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებმა გააკავეს. ებრაელთა 15000 მაშველი ჯარი მეორე სავაჟო გიმნაზიის ეზოში ჩასაფრდა. 7000 გერმანელ-ბერძენთა რაზმი კირკის ქუჩაზე ჩამოდგა. ხოლო ნაშუადღევის ხუთ საათზე სალიანის მხრიდან მტკვრით ამოვიდა (ხაშურისკენ ბლოკადაა) ინგლისის სამხედრო ფლოტი წყნარ ოკეანიდან ციმბირის გზით გადმოყვანილი. ამან აუწერელი სიხარული გამოიწვია მოკავშირეთა შორის.

ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. ფედერალისტებმა მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მოიყვანეს. მთელი პარტია, არა თუ ფეხზე დადგა, არამედ ვისაც აღარ შეეძლო ფეხზე დგომა ისიცა გამოჰყავდა თავისი დახმარებით სახელოვან ბელადს ქართველი ფედერალისტური ერისას თედორე ღლონტს. ბრძოლას დაესწრო თვით პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელიც დღევანდელ „სახალხო ფურცელში“ გემნაზისტკების შავ ფართუკს შესანიშნავ ლექსს უძღვნის.

საღამოს თერთმეტ საათზე გამოირკვა არჩევნების შედეგი. დასელების კინდიდატებს მიეღოთ 1280 ხმა (მიუხედავად 125000 გარეშე დამხმარისა) და ტოროტაძის (ანუ ფედერალისტების კანდიდატებს) 722 ხმა. ასე უსარგებლოთ ჩაუარა ფედერალისტებს 500 უფასო ბილეთმა და ასე გადარჩენ საქართველოში მცხოვრები უცხოელები აყრასა და გადასახლებას.

ეშმაკი.



# ჯორის ქურდი

დღეობაში მიდიოდა
იმერელი აზნაური;
ჯორზე იჯდა და მიჰყავდა
როგორც კარგი ბედაური...
ერთმა მგზავრმა, უცაბედათ,
ამ ჯოროსანს გაჰკრა გვერდი;
მან იწყინა. შეიგინა,
და უწოდა მას თავხედი...
მან ბოდიში მოიხადა,
დამცირება თუმცა ნახა,
მაგრამ შურის ასაზღაევად
გულში კი ღრმად ჩაიმარხა.
აედევნა შორი ახლო,
არ დაჰკარგა მისი კვალი,
გულის ძგერით მოელოდა
ვისთან იყო მიმავალი.
და მართლადაც მისი ზრახვა
მოიყვანა სისრულეში.
ჯორი იგი მასპინძლიდან
გააპარა ჩუმად ბნელში.
მეორე დღეს სძებნეს ქურდი,
მგრამ კვალიც კი ვერ სცნესა;
„გვანდა ქვესკნელს ჩანაძრომელს
ანუ ზეცად ანაფრენსა“...
დრო გავიდა... ერთხელ დაბად,
მიკიტანთან, ჯორის ქურდი
შამოუჯდა სუფრის ბოლოს,
მოიხადა თავზე ქუდი.
მოითხოვა სასადილოთ
მწვადი, პური და „სვირული“
აზნაურიც მოიძურწა
მუნ ზარხოშად გადაკრული...
(იმ განზრახვით ვით სჩვევიათ,
წოწიალისტ აზნაურებს:
იქ გაჩნდება, სადაც ყნოსვენ
ღვინოს, მწვადს და ხაჭაპურებს.)
ჯორის ქურდმა ძმა ბიჭურათ
დაპატიჟა... სიტყვა გრძელი
გააბეს და ილაღობდენ
სტუმარი და მასპინძელი.
ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,

გაიმართა რა მსჯელობა,
წამოუწყეს ერთმანეთსა
გულიანი დღეგრძელობა.
ბოლოს უთხრა მასპინძელმა:
იმედია მომაპყრობ ყურს;
სადღეგრძლოს წარმოვთქვამ და
იმედია დასცემ დასტურს.
ეს ღმერთმა მას გაუმარჯოს,
ადღეგრძელოს იგი ამით
ვინაც ჯორი ბოთლში ჩასვა
სასწაულით ან სხვა რამით.
კოტრიკანა აზნაურმა
ვერ გაიგო მისი სიტყვა;
და დაუწყო გაკვირვებით,
მას ნათქვამის გამოკითხვა.
მან მიუგო: შენი ჯორი
მე მოგპარე, არ იწყინო!
ახლა დახე ამ ბოთლიდან
როგორ მოხტის ჯორის ღვინო.
ისიც მიხვდა. უთხრა:— ყოჩაღ!
რომ გასულხარ კაცი ლელოს;
მე მომწონხარ... შურს არ ვიძევ,
და ჰა ვსვამ შენ სადღეგრძელოს...
ესა სთქვა და მყის გადაჰკრა,
გადახვია ძმურად ხელი;
„შერიგების პური ჭამეს,“
იმ სადილათ გემრიელი...

ირ. ტოფაძე.

---

# ნიჭი შემოქმედი.

ბატონი მორიელის დებულება, თითქოს ქართველ ხალხს მხოლოთ მიმბაძველობითი ნიჭი ჰქონდეს და წახედულობაში პირველი ადგილი ეჭიროს სხვა ერთა შორის, ჩვენის ფიქრით, სავსებით მართალი არ არის. კიდევ მეტიც, ჩვენ გვაქვს საკმაო საბუთები ამ დებულების გასაყალბებლად. მართალია ეს საბუთები უკანასკნელ დროს მოვლენათა რიგს ეკუთვნიან, გარნა თუ ჩაუკვირდებით ჩვენი ცხოვრების არც ისე შორეულ წარსულს—უტყუარ ნიშნებს იქაც შევამჩნევთ მათის არსებობისას. გვიკვირს, როგორ გამოეპარა ეს გარემოება ჩვენი სულმნათი სოლომონ ზურგიელიძის შემოქმედების უუნიჭიერეს მცოდნეს ბ. მორიელს, ან როგორ არ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას ჩვენმა ბ. ეშმაკმა. ნუ თუ ქართველთა ნიჭის უტყუარი ნიჭიერობის ნიშნები არ უნდა გვახარებდეს? მაგრამ, აჰა, სად არს ჭეშმარიტი მოტრფიალე ქართველთა ჰენიოსობის ამოძახილისა, სოლომონ ზურგიელიძის შემდეგ?

დღეს ხომ ყველა („სახალხო ფურ.“ თან ერთად) მომჭირნეობაზე ლაპარაკობს—მას ეტრფის და ელოლიავება. მომჭირნეობა სმაში, ჭამაში, ჩაცმაში, დროში და სხვაში და სხვაში გარდაიქცა ჩვენის ცხოვრების მოტოდ (ეს სიტყვა და სხვა ბევრი ამდაგვარი „ს. ფრ.“ ის „ახალ მოსულის შენიშვნების“ მწერალმა*) ისარგებლა წმ. ესტატეს ცხოვრებიდან რათა გვაზიარნოს ძველ ქართულ კულტურას). ქართველობამ აღლო აულო ცხოვრების ახალ ვითარებას და ამ თავითვე შეუდგა ეკონომიას და თუ სმაში, ჭამაში, ცმაში ჯერ-ჯერობით ეს ვერ განახორციელა, დროის ეკონომიას ისე დიდებულათ ასრულებს თავისი ახალი გამოგონებით, რომ ამ აღმოჩენით პირველ ადგილს დაიჭერს ნიჭიერ ერთა შორის. პატივი და დიდება ამ ნიჭს შემოქმედს,

ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ ნაკლს შეადგენს და შეადგენდა ჩვენი საქმიანი კრებების მეტის მეტი გაჭიანურება. თითეულ საკითხს ყოველი კრება მთელ თავის დროს ანდომებდა. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ კრებების წევრს ყველას სურდა თავისი თუ სხვისი აზრი ეთქვა თუ გაემეორებია**) საქმიანი თუ უსაქმო სიტყვა წარმოეთქვა და გული მოეფხანა. ამასთანავე ლაპარაკობდენ მორიგეობით და ყოველივე ეს მეტის მეტათ ბევრს დროს თხოულობდა: კრებებიც ძალა-უნებურათ უნდა გაპარასკებლიყვენ და საქმეთ შეფრხება მოსვლოდათ. ამიერიდან ეს ასე აღარ იქნება. იქნება ძველი საქმიანი სიტყვები ძველებურადვე, არ იქნება გრძელი, გაპარასკებული კრება. ენის ქავილიც დაკმყოფილდება და საქმეც გაკეთდება. ამიერიდან ბ. ეშმაკის სიცი-

---

*) ალბად თედორე ღლონტის მიბაძვით. (აქა მიბაძულობა მორიელის პროგრამითა).

**) ეხლაც გვახსოვს პატივისცემული გ. ყაზბეგის მოსწრებული შენიშვნა:—რას იტყვით ბ. ნებო იმის შესახებ, რაც ბ ნმა პავლემ ბრძანა და ბ. ნმა რეზომ განიმეორა?!!

იძლება კენჭიც მისცესო, ამბობდა მეორე უცნობი და ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

ხალხიც მოგროვდა. 25000 გადმოხვეწილი სომეხი ვერის ხიდის გაღმა, ანანოვის სახლის დასწვრივ დაბანაკდა და რიგს ელის. ვერის სასაფლაოს დაბლა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაირაზმა 18000 ცხენოსანი ბეგი ბორჩალოს მაზრიდან. დიდი-მთავრის ქუჩა, სახალხო სახლიდან, ვიდრე ვორონცოვის ძეგლამდე 60000 ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებმა გააკავეს. ებრაელთა 15000 მაშველი ჯარი მეორე სავაჟო გიმნაზიის ეზოში ჩასაფრდა. 7000 გერმანელ-ბერძენთა რაზმი კირკის ქუჩაზე ჩამოდგა. ხოლო ნაშუადღევის ხუთ საათზე სალიანის მხრიდან მტკვრით ამოვიდა (ხაშურისკენ ბლოკადაა) ინგლისის სამხედრო ფლოტი წყნარ ოკეანიდან ციმბირის გზით გადმოყვანილი. ამან აუწერელი სიხარული გამოიწვია მოკავშირეთა შორის.

ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. ფედერალისტებმა მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მოიყვანეს. მთელი პარტია, არა თუ ფეხზე დადგა, არამედ ვისაც აღარ შეეძლო ფეხზე დგომა ისიცა გამოჰყავდა თავისი დახმარებით სახელოვან ბელადს ქართველი ფედერალისტური ერისას თედორე ღლონტს. ბრძოლას დაესწრო თვით პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელიც დღევანდელ „სახალხო ფურცელში" გემნაზისტკების შავ ფართუკს შესანიშნავ ლექსს უძღვნის.

საღამოს თერთმეტ საათზე გამოირკვა არჩევნების შედეგი. დასელების კინდიდატებს მიეღოთ 1280 ხმა (მიუხედავად 125000 გარეშე დამხმარისა) და ტოროტაძის (ანუ ფედერალისტების კანდიდატებს) 722 ხმა. ასე უსარგებლოთ ჩაუარა ფედერალისტებს 500 უფასო ბილეთმა და ასე გადარჩენ საქართველოში მცხოვრები უცხოელები აყრასა და გადასახლებას.

**ეშმაკი.**



# ჯორის ქურდი

დღეობაში მიდიოდა
იმერელი აზნაური;
ჯორზე იჯდა და მიჰყავდა
როგორც კარგი ბედაური...
ერთმა მგზავრმა, უცაბედათ,
ამ ჯოროსანს გაჰკრა გვერდი;
მან იწყინა. შეიგინა,
და უწოდა მას თავხედი...
მან ბოდიში მოიხადა,
დამცირება თუმცა ნახა,
მაგრამ შურის ასაზღაევად
გულში კი ღრმად ჩაიმარხა.
აედევნა შორი ახლო,
არ დაჰკარგა მისი კვალი,
გულის ძგერით მოელოდა
ვისთან იყო მიმავალი.
და მართლადაც მისი ზრახვა
მოიყვანა სისრულეში.
ჯორი იგი მასპინძლიდან
გააპარა ჩუმად ბნელში.
მეორე დღეს სძებნეს ქურდი,
მგრამ კვალიც კი ვერ სცნესა;
„ვგანდა ქვესკნელს ჩანძრომელს
ანუ ზეცად ანაფრენსა"...
დრო გავიდა... ერთხელ დაბად,
მიკიტანთან, ჯორის ქურდი
შამოუჯდა სუფრის ბოლოს,
მოიხადა თავზე ქუდი.
მოითხოვა სასადილოთ
მწვადი, პური და „სვირული"
აზნაურიც მოიძურწა
მუნ ზარხოშად გადაკრული...
(იმ განზრახვით ვით სჩვევიათ,
წოწიალისტ აზნაურებს:
იქ განჩდება, სადაც ყნოსვენ
ღვინოს, მწვადს და ხაჭაპურებს.)
ჯორის ქურდმა ძმა ბიჭურათ
დაპატიჟა... სიტყვა გრძელი
გააბეს და ილაღობდენ
სტუმარი და მასპინძელი.
ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,

გაიმართა რა მსჯელობა,
წამოუწყეს ერთმანეთსა
გულიანი დღეგრძელობა.
ბოლოს უთხრა მასპინძელმა:
იმედია მომაპყრობ ყურს;
სადღეგრძლოს წარმოვთქვამ და
იმედია დასცემ დასტურს.
ეს ღმერთმა მას გაუმარჯოს,
აღლეგრძელოს იგი ამით
ვინაც ჯორი ბოთლში ჩასვა
სასწაულით ან სხვა რამით.
კოტრიკანა აზნაურმა
ვერ გაიგო მისი სიტყვა;
და დაუწყო გაკვირვებით,
მას ნათქვამის გამოკითხვა.
მან მიუგო: შენი ჯორი
მე მოგპარე, არ იწყინო!
ახლა დახე ამ ბოთლიდან
როგორ მოხტის ჯორის ღვინო.
ისიც მიხვდა. უთხრა: — ყოჩაღ!
რომ გასულხარ კაცი ლელოს;
მე მომწონხარ... შურს არ ვიძევ,
და ჰა ვსვამ შენ სადღეგრძელოს...
ესა სთქვა და მყის გადაჰკრა,
გადახვია ძმურად ხელი;
„შერიგების პური ჭამეს,“
იმ სადილათ გემრიელი...

ირ. ტოფაძე.

---

# ნიჭი შემოქმედი.

ბატონი მორიელის დებულება, თითქოს ქართველ ხალხს მხოლოთ მიმბაძველობითი ნიჭი ჰქონდეს და წახედულობაში პირველი ადგილი ეჭიროს სხვა ერთა შორის, ჩვენის ფიქრით, სავსებით მართალი არ არის. კიდევ მეტიც, ჩვენ გვაქვს საკმაო საბუთები ამ დებულების გასაყალბებლად. მართალია ეს საბუთები უკანასკვნელ დროს მოვლენათა რიგს ეკუთვნიან, გარნა თუ ჩაუკვირდებით ჩვენი ცხოვრების არც ისე შორეულ წარსულს—უტყუარ ნიშნებს იქაც შევამჩნევთ მათის არსებობისას. გვიკვირს, როგორ გამოეპარა ეს გარემოება ჩვენი სულმნათი სოლომონ ზურგიელიძის შემოქმედების უუნიჭიერეს მცოდნეს ბ. მორიელს, ან როგორ არ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას ჩვენმა ბ. ეშმაკმა. ნუ თუ ქართველთა ნიჭის უტყუარი ნიჭიერობის ნიშნები არ უნდა გვახარებდეს? მაგრამ, აჰა, სად არს ჭეშმარიტი მოტრფიალე ქართველთა ჰენიოსობის ამოძახილისა, სოლომონ ზურგიელიძის შემდეგ?

დღეს ხომ ყველა („სახალხო ფურ.“ თან ერთად) მომჭირნეობაზე ლაპარაკობს — მას ეტრფის და ელოლიავება. მომჭირნეობა სმაში, ჭამაში, ჩაცმაში, დროში და სხვაში და სხვაში გარდაიქცა ჩვენის ცხოვრების მოტოდ (ეს სიტყვა და სხვა ბევრი ამდაგვარი „ს. ფრ.“ ის „ახალ მოსულის შენიშვნების“ მწერალმა*) ისარგებლა წმ. ესტატეს ცხოვრებიდან რათა გვაზიარნოს ძველ ქართულ კულტურას). ქართველობამ ალღო აუღო ცხოვრების ახალ ვითარებას და ამ თავითვე შეუდგა ეკონომიას და თუ სმაში, ჭამაში, ცმაში ჯერ-ჯერობით ეს ვერ განახორციელა, დროის ეკონომიას ისე დიდებულათ ასრულებს თავისი ახალი გამოგონებით, რომ ამ აღმოჩენით პირველ ადგილს დაიჭერს ნიჭიერ ერთა შორის. პატივი და დიდება ამ ნიჭს შემოქმედს,

ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ ნაკლს შეადგენს და შეადგენდა ჩვენი საქმიანი კრებების მეტის მეტი გაჭიანურება. თითეულ საკითხს ყოველი კრება მთელ თავის დროს ანდომებდა. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ კრებების წევრს ყველას სურდა თავისი თუ სხვისი აზრი ეთქვა თუ გაემეორებია**) საქმიანი თუ უსაქმო სიტყვა წარმოეთქვა და გული მოეფხანა. ამასთანავე ლაპარაკობდენ მორიგეობით და ყოველივე ეს მეტის მეტათ ბევრს დროს თხოულობდა: კრებებიც ძალა-უნებურათ უნდა გაპარასკებლიყვენ და საქმეთ შეფრხება მოსვლოდათ. ამიერიდან ეს ასე აღარ იქნება. იქნება ძველი საქმიანი სიტყვები ძველებურადვე, არ იქნება გრძელი, გაპარასკებული კრება. ენის ქავილიც დაკმყოფილდება და საქმეც გაკეთდება. ამიერიდან ბ. ეშმაკის სიცი-

---

*) ალბად თედორე ღლონტის მიბაძვით. (აქა მიბაძულობა მორიელის პროგრამითა).

**) ეხლაც გვახსოვს პატივსცემული გ. ყაზბეგის მოსწრებული შენიშვნა: — რას იტყვით ბ-ნებო იმის შესახებ, რაც ბ ნმა პავლემ ბრძანა და ბ-ნმა რეზომ განიმეორა?!!

ლი და სიხარული ჩვენი გრძელი კრებების გამო უკბილო ოხუნჯობათ გადაიქცევა. გაოცებული მკითხველი, ალბად, იფიქრებს, ეს შეუძლებელიაო: დაუსრულებელი სიტყვები და დასრულებული კრება! წარმოუდგენელია, მაგრამ საქმეც იმაშია და ქართველთა შემოქმედებითი ნიჭის ჰენიოსობა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ეს შესაძლებელია. ერთდაიმავე კრებაზე, ერთდა იმავე საკითხზე, ანდა უფრო ხშირად სხვა და სხვა საკითხებზე, ერთდა იმავე დროს ლაპარაკობს რამოდენიმე ორატორი ანდა მთელი კრება ერთად. ორატორთა რიცხვში შედიან, რასაკვირველია, კრების თავმჯდომარე, მისი ამხანაგები და მდივნები. ასე რომ ყველა საკითხები ერთბაშად, მთელი კრების მონაწილეობით სწყდება და სხდომებიც დროზე თავდება.

უფრო სასიხარულო ისაა, რომ ეს აღმოჩენა უკვე შეიჭრა ქართველთა ცხოვრებაში და გაბატონდა კიდეც. პირველი ნაბიჯი გადაიდგა ცისფეროსნების საღამოზე თფილისში და თუ სხვა მხრივ ეს „ახალი ხელოვნების საღამო“ მეტად შინაარსიანი იყო, ამ მხრივ ხომ პირველ თქმა მას ეკუთვნის.

საღამოს პირველი მუხლის ასრულების დროს იაშვილის სიტყვასთან ერთად იმავე საკითხზე თუ, იმდაგვარზე სკამებიდან და არა ესტრადიდან ლაპარაკობდა რეზო გაბაშვილი. აქ რო ლაპარაკი მორიგეობით ყოფილიყო საღამო ერთი საათით გვიან მაინც გათავდებოდა (3-მი საათის მაგივრ. 4 საათ.), რადგან გაბაშვილმა, როგორც იაშვილმა, ერთი საათი ილაპარაკა და ეს დრო ხომ საღამოს უნდა წამატებოდა. უშველოს ღმერთმა რ. გაბაშვილს, რომ იხსნა დამსწრე საზოგადოება ამ ტანჯვისაგნ. აი თვით ნიმუში ამ გვარათ კრების წარმათვისა:

**პ. იაშვილი:** ჩვენი მთვრალი ძმები...

**რ. გაბაშვილი** (იმავე დროს) ჩვენი ლოთები...

**იაშვილი** წითელ ღვინოში...

**რ. გაბაშვილი** (იმავე დროს) მასხარა კლოუნები, უნიჭონი და სხ.

ასეთივე წესით მოხთა კრება სურამის კოოპერატივისა. აი რას იწერება თ. აზრის კორესპონდენტი: „როცა გამგეობის ერთი წევრი გამგეობის მოხსენების კითხვას იწყებს, ბ. შალიბაშვილი **პარალელურად** იწყებს თავის „რეჩს“ („თაზი“ № 28 917 წ.) უფრო გაბედულათ ამ ახალი აღმოჩენით ისარგებლა კოოპერატორთა ყრილობამ. მაგალითად ცხრა თებერვალს დილის კრებაზე დროის ეკონომიის მიზნით გამოწვეულ შემდეგს სურათს ჰქონდა ადგილი—

**დარჩია,** Потому что есть общій капиталъ, кооперации, ест интернаціональное, всеобщее движеніе და სხვა.

**თ. ღლონტი** (იმავე დროს) სენ-სიმონ-ფურიედან დაწყებულ ჩვენს დრომდე ანვითარებს კოოპერაციის ეროვნულ.

**ტყავაძე** (იმავე დროს) საპროტესტო სიტყვას ამბობს.

**ნ. ფ.** (ლანჩხუთის წარ. იმავე დროს) ამასთანავე მოუწოდებს მოკლე სიტყვაში პირველ ორატორს განაგრძოს ლაპარაკი (რადგან მან წყალი დალია).

**მღვდელი.** (წარმომ. ამავე დროს თავის სიტყვაში იცავს იმ აზრს, რომ ყრილობა ერთგვარი სკოლაა და ჩვენ ყველას გულ დასმით უნდა მოუსმინოთ.

**ჩინოსანი.** (წარმომად. იმავე დროს) თავის გრძელ სიტყვაში ამბობს, რომ ჩვენ საქმე გვინდა და არა გრძელ-გრძელი სიტყვა-ლაპარაკი.

(თავმჯდომარე. იმავე დროს) Т. К. я не знаю мѣстныхъ языковъ, прошу говорить по русски.

**ქ. ქ.** აურჩიოთ დავმჯდომარეს ქართულის მცოდნე დამხმარე. აირჩიეს კიდეც და სხვა და სხვა აღძრულ საკითხებზე რეზოლიუციებიც მიიღეს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს ახალი საშუალება კრების განმართვისა ფართოთ მოედება საქართველოს და ძვირფას ნაყოფს გამოიღებს კიდეც. და განა ცხადი არ არის ამ ნაყოფის სიკეთე? ეს ახალი აღმოჩენა რომ არ ყოფილიყო განა შეიძლებოდა კოპერატორთა ყრილობის ასე ადრე გათავება? ამის ერთად ერთი მიზეზი კრების წარმართვისთვის ეს ახალი საშუალება იყო, რაიც ააშკარავებს ქართველთა ნიჭის ჰენიოსობას, და ამის შემდეგ კიდევ იტყვიან ქართველებს შემოქმედებითი ნიჭი არა გვაქვსო?

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო — პატივისცემა ღირსებას“ ანდა როგორც უკეთა სთქვა ჩვენი ცხოვრების ფარანმა უკვდავმა სოლომონ ზურგიელიძემ:

„ნიჭია იგი, რაც არის...
მას უნდა მივცეთ შარაო!!.
მარტოკა გვარიშვილობა
პრასა და ნიახურია.“

**სარასტანი.**

# გამოცანა

(დიდი—ჯიხაიშისთვის).

ვისაც ჩვენში გაუვლია,
იცნობს დიდსა ჯიხაიშსა,
ქალებს, ვაჟებს აქაურებს,
საქებარსა იმათ ჯიშსა;
ის ამოხსნის გამოცანას,
ქვემოთ ნათქვამ—დანაწერსა
და მიიღებს სააღდგომოთ
ტკბილი პასკის დიდ ნაჭერსა.
ასეთ ქრთამსა მისთვის ვხარჯავთ,
რომ მკითხველი გაისარჯოს
და საგანი გამოცანის
უმიზნოთ არ დაისაჯოს.
ხოლო თუ თვით შეიწუხებს
ეს ყმაწვილი თავსა ძებნით
და უშიშრათ განაცხადებს
ვინაობას თვისი ნებით,
მაშინ ბატკანს შევთავაზებთ,
ციცით მისი გემო ტკბილი
(ტრადიციაც ასეთი აქვს
ხორცი უყვარს მეტად ჩვილი).
მაშ მო საგანს დაუბრუნდეთ,
ნუღა ვკარგავთ დროს უბრალოთ,
ნუ დავტოვებთ გზასა განვლილს
შეუმჩნევლათ და უკვალოთ.

——

ტყვილათ ყოფნა და ყიალი
ჩვენში მოდათ გადაიქცა,
ამა საქმის მიმდევარი
ბევრი წახთა და წაიქცა.
მარა ერთი უშიშარი
გამოგვადგა ასეთებში
ქერა არის (ანუ რიჟა)
მით ირჩევა თავის ძმებში;
დაყიალობს, დანავარდობს,
სიამაყეც თან დაჰყვება,
თუ სტუმრობა გაიგონა
აქეთ-იქეთ გზებს ჩაჰყვება.
ცხრაჯერ მივა ერთ ადგილას,
სუნით ეძებს მასპინძელსა,
მოანდომებს ასეთ საქმეს
კვირას, თვეს და თუნდა წელსა.
რაც მე ვიცნობ სულ ყიალებს,
დასეირნობს ის ბაზარში,
დინჯათ იცის სიარული
და შეყურებს ყველას თვალში.
იქნებ ვინმემ დაპატიჟოს
გადიგრიხოს მან ულვაში.
სუფრის თავსა რომ წამოჯდეს
და შეიქნეს ტოლუბაში.
ამგვარ ტიპებს თავი მოსწონთ
და ჰგონიათ სხვა ვერ იცნობს,
(საეჭვოა მან თავისი
სულელობა თვითვე იგრძნოს).
ტრაბახი და თავის ქება
(უამისოთ რა იქნება)
სხვისი კილვა სხვისი ლანძღვა
საჭორიკნოთ საქმის ბანძღვა,
ტრილისტა და ფრაპ-ბაქარა,
(კარტის იცის თვლა ჩქარ-ჩქარა)
ღვინო, კრივი, ჰარალალი—
—ამით არის მუდამ მთვრალი...
და თუ გნებავთ, რომ გაიგოთ
ეს ყმაწვილი თეთრ თმიანი,
სადმე ტყვილა იტრაბახეთ:
—საცივი გვაქვს დღეს წვნიანი...
მყისვე განჩდეს, მოგიგონოთ,
გულს დარდები მოგიფონოთ
და ქეიფი თუ არ დახვდა
ეს ვერაფრათ მოგიწონოსთ.

**ვინა ვარ?**



# ახლო წარსულში



— ხედავთ, აი ეს კაცი, ასე მედიდურათ რომ დადის, თურმე წერა-კითხვის საზოგადოების წევრი ყოფილა

— ოჰოოო!

# ახლო მომავალი




— ამხობენ, აი ეს მოხელე წერა-კითხვის საზოგადოების წევრი არ არისო!
— ნუ თუ, ნუ თუ!

# დაქვრივებული ბარათი

I

„მეგობარო! თუ გაგვყარა ცრუ ცხოვრების წესმა კრულმა
თუ ვერ განახე მომავალში მხიარული მხიარულმა“
სულის ტანჯვა გულს დამიწვავს გულის ცეცხლი შეშლის გრძნობას
აწ შენ განდობ სულის სწორო ჩემი ყოფნის გამოცნობას.

**შენი ტინტილაი.**

II

ამ ბარათით ჩემი სულის ობლათ ლტოლვა გადმოგეცი
შენ კი იგი შენის ხელით უხმოთ უკან დამიბრუნე?!
ხომ შეხედე ნაკუწ-ნაკუწ დავხიე და გადავყარე
რადგან ამას როგორც სიკვდილს შენის ხელით არ ველოდი.

ან გიჟი ხარ ან რეგვენი თუ ბოროტი ვინმე მხეცი
პირიკულმა დამიყინე საეტლო და ბედის ჰუნე?
არც ის ვიცი ყველა ამით გაწყინე თუ გაგახარე
მხოლოთ მახსოვს ის წუთები გულზე მაწევს როგორც ლოდი.

ისე უხმოთ რომ გაგშორდი ჩემთან მცირე ხანდასმული
თუ წინასწარ გადასწყვიტე გიფიქრია ერთობ ცუდათ
შენს წასვლამდე მე გავსჩხრიკე გესლიანი შენი გული
რომ უთუოდ გამიხდიდი ჩვენ სახსოვარ კაბის კუდათ.

(ჩხრეკის შემდეგ მწუხარებას გაკვირვებაც დაემატა
რა შენს გულში დავატყვევე მე „ყანწების“ „შავი კატა‘‘).

რა ყოფილა, ბოშო, აგი კატების და ქალის ჯიში
‚ბრძენ სოლომონს‘‘ მართლად უთქვამს: ,,სჯობს სიშორე დიაცისა‘‘
როცა სულში ჩაგვიძვრება დაიუფლებს რაკი გულსა
მაშინ გარბის ახალს ეჭობს აღარ მოსწონს ძველი ბინა.

არც სინდისის ნატამალი არც ნამუსის ანგარიში
ვერც შორდები არც დაგინდობს აფთარია მაშინ ისა
ტალახში სვრის ფეხით თელავს იმ შენ წმინდა სიყვარულსა
რაღათ გვიკვირს? როცა ევამ ადამიც კი შეგვიცდინა.

როგორც აგი ლექსთა წყობა, ამიშალე აზრი გრძნობა
თუ მე არა თავი შენი მოიგონე შეიბრალე
რას გავს შენი საქციელი რაუყავი მეგობრობა?
შეინანე ეგ ცოდვები, შეინანო გიჯობს მალე.

**ტინტილაი.**

P. S. ამ ბარათს რომ კითხულობდენ ორი მიჯნური ქალები
(თუ როგორ შევხდი ნუ მკითხავთ მკითხველო თუ გებრალები)
საექვო იყო შევნიშნე არ მოვაშორე თვალები
ღოვპარე იგი—,,გავლექსე საქმე ვქენ საჭოჭმანები.

**ბუტუნა.**



# მესტვირული

**(რკინის გზის მთავარ დეპოს)**

ეშმაკთა ბრძანებელო,
გთხოვ მათხოვოთ სტვირია
თუ სხვაგან საჭიროებს,
დეპოს უფრო სჭირია.
მთავარ დეპოს მივულექს
მიბოძეთ დასტურია
არც ვაწყენ, არც ვაამებ,
თუ დამიგდეს ყურია.

პირველ მიულილინოთ
კანტორაში მსახურებს,
ყოველ ღამ კარტ-ნარდზედა
თამაშით შენახურებს.
მემანქნეთ, თანაშემწეთ,
და ძმათა მათ ერთადა
მაზუტი გაუხდიათ
სათაყვანოთ ღმერთადა.
ზეინკლებს, მექვაბეებს
არ ახსოვთ არაფერი
დღე და ღამ მუშაობით
არ აძევთ კაცის ფერი,
სულ ერთიან გადაჰყვენ
აკორდის ჭირს, სნებასა
და საქმე დიდებული
მისცეს დავიწყებასა.
სლესართა ხელქვეითნი
დიდი ვინ, თუ პატარა,
სატანამ, როგორაც სჩანს
თავის გზაზე ატარა.

შეგირდებ-სტოროჟები
და მათთან მუშა შავი,
ენა აქვთ დაკეტილი,
მითია საცოდავი.
მეჟეშტე „მედნიკები“
შემდეგ „კაჩეგრებია“
უნდა ვსთქვა (თუმც არა მსურს
მყავდეს ბევრი მტრებია)
მათრახის კუდს ელიან
უნდათ წატკაცუნება,
სულ რომ არ დაივიწყონ
ძველი დრო და გუნება.
პარკელებსაც არ აწყენს
რო შევამკო ძალიან,
საზოგადო საქმისთვის
აღარც იმათ სცალიან.
„აკორდის“ და „ვეჩერის“
შეჰყრიათ დიდი ჭირი
ღირსეულ მათ შემკობას
ვერც შესძლებს ჩემი სტვირი.
სხვა მუშებზე ისინი
მოწყვეტილი არიან
სოლოლაშვილს შესტრფიან,
მხოლოდ მას შეჰხარიან.
გაზეთების კითხვა ხომ
მათთვის უცხო ხილია!
(დღე და ღამ მუშაობენ
განა რა სირცხვილია?)

ქ. 6—შილი



# ახალ-სენაკიდან

ისეთ დროსა, როს ცხოვრება
ითხოვს საქმით გზისა კაფვას
და უარყოფს ყველა იმათ,
ვინაც მარტო სიტყვებს ჩმახავს,
დიდის რიხით და ზეიმით
გამოვიდა ჩვენი მიხა.
მისებურად მარჯვნივ, მარცხვნივ
ათასგვარათ დაიგრიხა
და მჭექარე გამყივანით
გადმოსძახა ხალხის კრებას:
ყოველ საქმეს საზოგადოს
საძირკველად შრომა ედვას.
ვინც იშრომებს, ვისაც ძალუძს
ხალხის წრფელი სამსახური...
მაგრამ, ამ დროს შეაჩერეს...
მიხას დარჩა ნიახური!
გავიხედე ალე სტირის
ძიკინია იბერება
და იმათი მშრალი სიტყვა
უშედეგოთ სადღაც ჰქრება.
მე კი ამ დროს მომაგონდა
კრილოვისა ბოჭკა ორი:
ცარიელს თუ მივამზგავსებთ,
შედარება დარჩეს სწორი.

„მაჩმინჯე“.



# ღია ბარათი

**ფოთის ნავთსადგურის მუშებათა ზოგიერთ ბ. ბ. რწმუნებულებს.**

„ეშმაკის მათრახი“-ს „საახალწლო მილოცვებში“ სხვათა შორის თქვენც ხართ ნახსენები, რისთვისაც თურმე ჩემგან პასუხს თხოულობთ, მარა ის კი **„დაგვიწყნიათ“** რომ ნიღაბის ქვეშ მყოფი კორესპოდენტის ქუჩაში ნახვა შეუძლებელია. ამისათვის არსებობს რედაქცია, რომელსაც უნდა მიმართოთ, არა პიროვნების აღმოსაჩენათ, არამედ ბრალდების გასაყალბებლათ. თუ თქვენ თავს შეურაცხყოფილათ გრძნობთ და ეს უმართლო არის წინადადებას გაძლევთ მოსთხოვოთ რედაქციას პასუხი. მე მზათ ვარ თქვენდა სამსახურად

**თქვენი ბუტუნა.**

# ფოსტა.

**ტერ. ს—ძეს.** შარადა სუსტია, როგორც თვით საშარადე საგანი.

„ეხლა გვჭირდება ჩვენ მწერი
რუსები „Муха“ ეძახის
მისა ქართულსა სახელსა
ბუ ჩამოვართვათ ეკადრის“

ამგვარ შარადას რაც „ეკადრის“ თქვენი მიუდგომელი მსჯავრისათვის მიგვინდვია.

**ს—რელს.** (კახეთის რკ. გზის დეპო) სამწუხაროდ თქვენი ლექსი თვით კახეთის რკინის გზას გვაგონებს. მის წაკითხვაზე სამი თანამშრომელი დაიმტვრა.

„ნიკოლამ ქრთა აიღო
ჯიბუს ჩაა ხრიალა...
ნიკალას უხარია
ლექსომ დაი გვიანა.
ლექსომაც კარი გააღო
ნიკალამ შიშით საშინლათ პირი დააღო
ფულები სრულად არ მისცა მას
და რამოდენიმე დააკლო კიდევაც.“

რაც უფრო შორს მივდივართ, ე. ი. რაც უფრო ვუახლოვდებით ჩალოუბანს და გურჯაანს, მით უფრო მეტი შიში გვიპყრობს ხიფათისა.

„ქეიფობა გაიმართა
მეტი დიდი ამბავებით
მაგიდაც დამშვენებულა
ძველ ინდოურ ქათმებითა.“

კახეთში წინათ ძველი ღვინო იყო განთქმული. სჩანს ახლა, რკინისგზის გაყვანით, ეგ შეხედულობა შეიცვალა და ძველი ინდოური და ქათამია მოდაში.

**მეზობელს** (ბახვში) თქვენი ლექსი „ოცის თავი“ არ დაიბეჭდება არა მარტო იმიტომ, რომ ავტორის ვინაობა არ აწერია. გლახა ლექსის დაწერა თუ არ გრცხვენიათ, სახელისა და გვარის მოწერა რისთვის შეგრცხვათ?

**მარინეს დისწულს.** მარინეს პატივისცემისათვის თქვენი „სცენა“ არ იბეჭდება.

**ციხის უბნელს.** ჩვენის აზრით იმან, რომელიც უწინ უყვარდა, უნდა გამოიწვიოს სამედიატორო სამართალში ის, რომელსაც მერე შეუყვარდა იმის გამოსარკვევათ, თუ რომელს უფრო უყვარს. გარდა ამისა უნდა დაინიშნოს მეორე რიგი მედიატორეთა იმის გამოსარკვევათ, თუ რომელი უფრო უყვარს გასათხოვარს და დაინიშნოს მესამე რიგი მედიატორეთა იმის გამოსარკვევათ, თუ ვისთან შეუღლება უფრო სასარგებლოა.

**გოლგოთელს.** მესტვირული ერთობ მოსაწყენია

**შანთს.** შარადა სუსტია.

**ალის.** „კოპერატიულ ყრილობაზე“ დაგვიანებულია.

**პატარას.** (ძირულა.) თქვენ იწერებით: „თუ არ დაიბეჭდოს ეგ ლექსი მომახსენეთ „ეშმაკის მათრახის“ საშვალებით“ო. ბოდიშს ვიხდით, რომ მოხსენება დაგვიგვიანდა. თქვენი ლექსი: **„თარეში შრომის მამასახლისისა“** ვერ იბეჭდება. აბა რა **პატარას** საქმე ასეთია კუპლეტი:

„წავიდა მამასახლისი,
კიდეც მირბოდა ძალზედა!
ვიღაცა, ლამაზი ქალი,
თურმე უცდიდა გზაზედა.“

„ვიში ნაჩალ. უჩილიჩაში“ განა ამისთანებს გასწავლიან? მამასახლისების მიბაძვა თქვენ ხელს არ მოგცემთ.

**მირზა—ყულის.** მძიმე ტვირთისთვის მოგიკიდიათ ხელი და ამით თუ აიხსნება, რომ იუმორი ერთობ სუსტობს. აიღეთ უფრო ხელმისაწვდომი თემა.

**გერ. ცაცხვისძირელს.** ძველი ამბავია.



# დამშვიდდით ბატონებო

მთელს საქრისტიანოსა და სამაჰმადიანო საქართველოს ელვის სისწრაფით ედება ყოველი შეგნებული ქართველის გულის სიღრმემდე აღმაშფოთებელი ცნობა, თითქოს ჩვენ მეზობელ ერს (ჯერ-ჯერობით არ ვასახელებთ რომ ეს ერი სომხებია) განზრახვა ჰქონდეს მიითვისოს

## ჩვენი უდიდესი მგოსანი

# სოლომონ ზურგიელიძე.

ჩვენმა მეზობლებმა რა ხრიკსაც არ უნდა მიმართონ ჩვენ ვერაფერი შეგვაკრთობს. თამამად შეგვიძლია ვუთხრათ ქართველ ერს: „დამშვიდდით ბატონებო!“ „ეშმაკის მათრახის“ მახლობელ ნომერში დაიბეჭდება ამ საგანზე **ბ-ნი მორიელის** ფრიად საინტერესო განმარტება, რომელიც მთელი კაცობრიობის წინაშე საბოლოოდ ნათელ ჰყოფს როგორც უკვდავი მგოსნის ვინაობას, აგრეთვე ჩვენი მეზობლების განზრახვასაც.

# ელოდეთ გულდამშვიდებით!

---


ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# „საქართველო“

## ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

**მთელის წლით — 15 მან., ნახევარის წლით — 9 მან., სამის თვით — 5 მან., ერთის თვით — 1 მ. 80 კაპ ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.**

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს — 7 მან; პირველ მარტისთვის, 5 მან და პირველ იანვრისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (ПОЧТ. ЯЩИКЪ № 76)

**რედაქტორი: ს. შანშიაშვილი.**

კანტორა ღიაა: დილით — 9-ან — 3 საათამდე, საღამოს — 5-ან — 7 საათამდე.

**გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.**

## ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

# ეშმაკის მათრახი

### მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორის-ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

**ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე შ მ ა კ ი,**
**ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“**

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

# „თანამედროვე აზრი“

### მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.**

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

**თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა № 6.**